კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2022 წლის III კვარტალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 9.7%-ით გაიზარდა, რაც აღემატება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ აგვისტოს თვეში პროგნოზირებულ 7.9%-ს. შესაბამისად, დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა.
- 2022 წლის III კვარტალში წლიური ინფლაცია 11.3%-ს გაუტოლდა, რაც ძირითადად განპირობებულია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდით.
- 2022 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა სალდომ 768.4 მლნ ლარი შეადგინა.
- მთლიანი სახელმწიფო ვალი კლების ტენდენციას ავლენს, შემცირებულია ასევე საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში. კერძოდ, 2022 წლის III კვარტალში საგარეო ვალის წილმა 76.3% შეადგინა, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 85.0%-ს იყო.
- 2022 წლის II* კვარტალში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის განახევრდა (კლება -49.0%) და მხოლოდ 252.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.
- 2022 წლის III კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,313 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.
- 2022 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 28.8%-დან 30.6%-მდე გაიზარდა.
- წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის III კვარტალში ფულადი გზავნილები 64.9%-ით გაიზარდა და 1,027.5 მლნ დოლარი შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი 2022 წლის მარტიდან არ შეცვლილა და 11.0%-ს შეადგენს.
- ლარის გაცვლითი კურსი გამყარების ტენდენციით ხასიათდება. ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 2.8%-ით, ხოლო 2021 წლის III კვარტალთან შედარებით 10.5%-ით გამყარდა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2022 წლის III კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 9.7% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის III კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის მიერ შეფასებულ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 1.0%-ს გაუტოლდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი 1.9% იყო.

აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის მიერ 2022 წლის აგვისტოში გაკეთებული მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება შეადგენდა 7.9%[1] -ს, რუსეთ-უკრაინას შორის მოსალოდნელი საომარი მდგომარეობის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე. თუმცა, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით დაფიქსირდა მოსალოდნელზე უკეთესი ეკონომიკური ზრდა. მიუხედავად მეზობელ ქვეყნებში არსებული საომარი მდგომარეობისა, ქვეყანაში მესამე კვარტლის განმავლობაში არ შეფერხებულა ეკონომიკური საქმიანობა. ამავდროულად, 2022 წლის III კვარტალში დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ასევე ფულადი გზავნილების და საგარეო ვაჭრობის ზრდა.





2022 წლის II* კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტის და ინვესტიციების ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2022 წლის II კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი ექსპორტის (11.0%) და ინვესტიციების (6.2%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე მოხმარებას (-5.1%) და იმპორტს (-5.0%) ჰქონდა.

[1] www.pbo.parliament.ge



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[2] ზრდის ტემპმა 9.6% შეადგინა. 2021 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 12.5%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.





2022 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მცირედით კლების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის III კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 11.3% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. 2022 წლის III კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე, აირზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე აგრეთვე სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

2022 წლის III კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 7.2% შეადგინა.

[2] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

2. ფისკალური სექტორი



2022 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 15.4%-ით გაიზარდა და 4,461.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 12.5%-ით მოიმატა და 5,337.5 მლნ ლარს გაუტოლდა. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 326.1 მლნ ლარით გაიზარდა და შეადგინა 479.1 მლნ ლარი. უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 768.4 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, 2021 წლის III კვარტალში უარყოფითი მთლიანი სალდო 745.6 მლნ ლარს შეადგენდა.

2022 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 15.0%-ით გაიზარდა და 4,021.9 მლნ ლარით განისაზღვრა.

2022 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 4.4%-ით გაიზარდა და 1,356.3 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 21.4%-ით მოიმატა და 2,665.6 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი შემცირდა 26.3%-ით და 36.2 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლებმა მოიმატა 25.5%-ით, რამაც 403.1 მლნ ლარი შეადგინა.





2022 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.

2022 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 3,982.1 მლნ ლარს შეადგენს, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.2%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 1,355.4 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 31.5%-ით აჭარბებს. აღნიშნულ პერიოდში 0.7%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 561.9 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 542.2 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 13.0%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 1,537.8 მლნ ლარი (შემცირდა 0.9%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა მომსახურება) 19.3%-ით გაიზარდა და 1,340.2 მლნ ლარით განისაზღვრა.



2022 წლის III კვარტალის ბოლოს – 30 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 28,153 მლნ ლარი შეადგინა, რაც 7.3%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2022 წლის III კვარტალის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 76.3%-ს შეადგენს (2021 წლის III კვარტალის ბოლოს - 82.0%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 23.7%-ს (2021 წლის III კვარტალის ბოლოს - 18.0%).



3. საგარეო სექტორი



2022 წლის II* კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის II კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 252.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად (49.0%-ით) ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -4.2%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსსა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტების და მომსახურების დადებითი სალდო. აღსანიშნავია, რომ მოგზაურთა მომსახურებაში მნიშვნელოვნად დადებითი დინამიკა შეინიშნება 2021 წლის II-IV კვარტლებსა და განსაკუთრებით 2022 წლის I-II კვარტლებში. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 204.2%-ით გაიზარდა და 748.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



2022 წლის II* კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 284.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 4.7%), რაც 20.3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება სხვა ინვესტიციებს, 2022 წლის II კვარტალში მისი ოდენობა 34.3 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 89.9%-ით ნაკლები.





2022 წლის III კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,313 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.

2022 წლის III კვარტალის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 4,313 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.8%-ით მეტი. 2022 წლის აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ 40.6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სექტემბერში 13.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



2022 წლის III კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

2022 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი 40.5%-ით გაიზარდა და 1,539 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 29.0%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 3,487 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.6%-ით განისაზღვრა. 2022 წლის III კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობი, აზოტოვანი სასუქები, ნატურალური ღვინოები და სხვა.





2022 წლის III კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 2,266,677 შეადგინა, რაც 178.0%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც III კვარტალში 1,900,021 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 162.4%-ს). მესამე კვარტალში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (533,190, ზრდა წინა წლის III კვარტალთან 443.5%), სომხეთიდან (325,980, ზრდა 437.9%), თურქეთიდან (281,327, ზრდა 175.3%).

2022 წლის III კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,374.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 142.9%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2022 წლის III კვარტალში ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის III კვარტალში ფულადი გზავნილები 64.9%-ით გაიზარდა და 1,027.5 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 37.5%) და ევროკავშირის ქვეყნები (26.9%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბელორუსიდან (1,314%-ით), სომხეთიდან (868%-ით), ყირგიზეთიდან (476%), ტაჯიკეთიდან (286%-ით), რუსეთიდან (231%-ით), უზბეკეთიდან (200%-ით), ყაზახეთიდან (110%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (106%-ით), ნიდერლანდებიდან (59%-ით), საუდის არაბეთიდან (55%-ით), გერმანიიდან (48%-ით) და სხვა.



4. მონეტარული სექტორი

2022 წლის III კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 11.0% შეადგინა.

2021 წლის მარტიდან ინფლაციური ზეწოლის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი გახდა მონეტარული პოლიტიკის თანდათანობით გამკაცრება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით განაკვეთი 8.0%-დან 8.5%-მდე გაიზარდა, აპრილში 9.5%-მდე, აგვისტოში 10%–მდე, ხოლო დეკემბრის თვეში 10.5%-მდე. 2022 წლის მარტში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის კვლავ 0.5%-ული პუნქტით 11.0%-მდე გაზრდის თაობაზე. 2022 წლის 3 აგვისტოსა და 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა.





2022 წლის III კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 13.3%-ს შეადგენდა.

2022 წლის III კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.4%-ული პუნქტით გაიზარდა და 13.3%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 16.3% შეადგინა (0.4%-ული პუნქტით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 7.3% (0.5%-ული პუნქტით მეტი).

2022 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით, რუსული რუბლისა და სომხური დრამის გარდა, გამყარდა.

2022 წლის III კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 2.8%-ით, ხოლო 2021 წლის III კვარტალთან მიმართებით 10.5%-ით გამყარდა. 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, ლარი ასევე გამყარდა ევროსთან (29.2%-ით), თურქულ ლირასთან (131.6%), აზერბაიჯანულ მანათთან (10.2%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (43.2%-ით), ხოლო გაუფასურდა სომხურ დრამთან (8.0%-ით) და რუსულ რუბლთან (10.0%) მიმართებაში.





2022 წლის III კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2022 წლის III კვარტალში, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 5.0%-ით მოიმატა და 42,144 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.5%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 22.2% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 21.8% - მრეწველობის, 15.9% - მშენებლობის, 13.2% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 7.8% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.



2022 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2022 წლის I კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 58.2%, ხოლო სესხებზე 50.4% შეადგინა.

კიდევ უფრო შემცირდა დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე 2022 წლის II კვარტალში. კერძოდ, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 57.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე კი 48.4%-ით.

2022 წლის III კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის შესაბამის მონაცემთან მიმართებით, მცირედით (0.1%-ული პუნქტით) შემცირდა, წინა კვარტალთან შედარებით კი 2.6%-ული პუნქტით გაიზარდა და 59.8%-ით განისაზღვრა. ამავე პერიოდში სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 45.1% შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.9%-ული პუნქტით, წინა კვარტალის მონაცემზე კი 3.3%-ული პუნქტით ნაკლებია.



5. სოციალური სფერო



2022 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი გაიზარდა.

2022 წლის III კვარტალის ბოლოს - სექტემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 219.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.5 ლარით მეტია, წინა კვარტალთან მიმართებით კი 7.0 ლარით ნაკლები.

რაც შეეხება 2022 წლის III კვარტალის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან მიმართებით გაზრდილია 12.8%-ით.

2022 წლის III კვარტალში, წინა წლის III კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები შემცირდა, განათლებაზე კი გაიზარდა.

2022 წლის III კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 446.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 15.4%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 440.1 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32.7%-ით ნაკლები.





2022 წლის II* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.

2022 წლის II კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 695.2 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.4%-ით მეტია. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, 2022 წლის II კვარტალში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,625.8 ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 236.2 ლარით მეტი.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია